ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერალიტიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის ივნისის 15	№ 10 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 123. სოფლის მეურნეობის სასეზონო სამუშაოთა ნუსხა.

„ 127. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან მუშათა საბინაო-მშენებლობისათვის გამოსაყოფი ნაწილის რაოდენობის შესახებ.

„ 125. ამიერკავკასიის რკინის გზების წინაალმდეგ აღძრულ, გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელთა ქალ. ტფილისისა, ბაკოს და ერევანის სასამართლო დაწესებულებებისათვის დაქვემდებარების შესახებ.

„ 126. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანისა და განხილვის წესის შესახებ.

„ 127. მუშათა ბინების მშენებლობის საპიროებისათვის მიზნობრივი საბინაო გადასახადის დაწესების შესახებ.

„ 128. ამიერკავკასიის რკინის გზებზე მომხდარი კატასტროფებისა და შემთხვევების გამო აღძრულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებების განსაჩივრებისათვის ვადის დაწესების შესახებ.

„ 129. პაპიროსის უკიდურესი ფასების შესახებ.

„ 130. ამიერკავკასიის რკინის გზებით შეშის გადაზიდვისათვის წამახალისებელი პრემიალური სასეზონო ტარიფის დაწესების შესახებ.

„ 131. ამხ. ზალვა ზურაბის ძე ედლიავას ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ და ამხ. სარქის ლუკიანის ძე ლუკაშინის ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

„ 132. ქალ. ლენინაკანის აღდგენისათვის საჭირო საშენი მასალის საგადასახადო ადგილობრივი ტარიფის შესახებ.

დადგენილება № 33 ასსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. მაისის 27

123. სოფლის მეურნეობის სამუშაოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სასეზონო სამუშაოთა შრომის პირობების შესახებ“ 1926 წ. ივნისის 4-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილის თანახმად—ა/სსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი ნუსხა ა/სსფსრ სოფლის მეურნეობის იმ სასეზონო სამუშაოთათვის, რაზედაც ვრცელდება სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება 1926 წლის ივნისის 4-სა.

1. სამინდვრე და პურის თესვის სამუშაო:

ა) მიწის საოვესად განმზადება (ხვნა, თოხვნა, ფარცხვა, გაპატიება და გაპატიებასთან დაკავშირებული სამუშაო);

ბ) თესლის დასათესად განმზადება, დათესვა, მცენარეების მოვლა (მორწყვა, თოხვნა, მიწის შემოყრა);

გ) მოსავლის აღება, ჭირნახულის მოზიდვა და დადგმა, ლეწვა, ჭირნახულის მოგვარება გამოსაყენებლად და გასაყიდად (გაშრობა, გაწმენდა, დასაპალნება).

2. საველე სამუშაო:

ა) ხის ძირების ამოგდება, ჯაგნარის გაკაფვა, ქვის აკრეფა, ბექობის გასწორება, მოხვნა, დაფარცხვა, დათესვა;

ბ) ბალახის გათიბვა, თივის მოზიდვა;

3. ბოსტნის სამუშაო:

ა) მიწისა და თესლის დასათესად და დასარგავად განმზადება, სასელექციო სამუშაოს გამოკლებით;

ბ) დათესვა და დარგვა, ჩითილის გადარგვა, მცენარის მოვლა, მორწყვა, მოსავლის აღება და მოზიდვა;

გ) სასათბურო სამუშაო;

4. ბაღისა და ხეხილის სამუშაო:

ა) მიწის სარგავად განმზადება (გადაბარვა, გადახვნა, პატივის მოზიდვა, ბაღის გაწმენდა;

ბ) ხეების დარგვა, გადანერგვა, თოხვნა, ხეების გასხლვა, მყნობა, ხეების წამლობა;

გ) ჭირნახულის მოკრეფა (ხილისა და სხვ.) და მოზიდვა;

დ) ხილის დახარისხება და ჩაფუთვა და ყოველი სამუშაო სანერგეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ვენახის სამუშაო:

ა) მიწის დაბარვა და მოხვნა, პატივის მოზიდვა, ორმოების დამზადება_ვაზის ჩასაყრელად;

ბ) გაზაფხულზე დამარხული ვაზის აყენება, შესარვა, ფესვებისათვის მიწის შემოყრა, გადარგვა, გასხლვა და ვაზისთვის ფორმის მიცემა, მყნობა, შეყელვა, ზედმეტი ყლორტის მოცლა;

გ) ვენახის მორწყვა, ყურძნის მოკრეფა, ვაზის საზამთროდ შეხვევა, მოკრეფილი ჭირნახულის სათანადო სადგომში მიზიდვა;

დ) ყურძნის წურვა (საქაჩავით ან ფეხით), ჭაჭისა და თხლის დაგროვება და არყის გამოსახდელად დამზადება.

6. ბამბის სამუშაო:

ა) მიწისა და თესლის დასათესად განმზადება;

ბ) დათესვა, ბამბის ბუჩქის მოვლა, ბამბის მიწის ნაკვეთების მორწყვა, ბამბის მოკრეფა (ნედლეული), დატვირთვა და ქარხანაში მიზიდვა, აწონვა, დალაგება და გაზიდვა, გაშრობა.

7. თამბაქოს სამუშაო:

ა) მიწისა და თესლის დასათესად განმზადება;

ბ) დათესვა, ჩითილის გამოყვანა, ჩითილის გადარგვა პლანტაციაზე, თამბაქოს ბუჩქების მოვლა, თამბაქოს ფოთლის მოკრეფა, სარაიებში მიზიდვა, ფოთოლ-თამბაქოს საპალნედ შეკვრა;

გ) დახარისხება და აცმა, თამბაქოს ფოთოლის გაშრობა და საწყობში მიზიდვა.

8. კენაფის სამუშაო:

ა) მიწის დასათესად განმზადება, დათესვა, მცენარის მოვლა, ჭირნახულის მოკრეფა და თესლის გამოფშვნა;

ბ) კონების წყალსათავსში ჩაყრა და ამოღება, ამოღებული ღეროების კანის აცლა (ლეფნის მერქანისაგან მოცილება), ბოჭკოს გარეცხვა და მშრალი ბოჭკოს საპალნედ დაკრეხა.

9. ბრინჯის სამუშაო:

ა) მიწისა და თესლის დასათესად განმზადება;

ბ) დათესვა, ნათესის მოვლა, ბრინჯის პლანტაციების მორწყვა, მოკრეფა და მიზიდვა.

10. ჩაის სამუშაო:

ა) სააჩიე პლანტაციების დამუშავება (დაბარვა, დათოხვნა);

ბ) ჩაის ბუჩქის კრეჭვა და მოვლა;

გ) ჩაის ფოთლის მოკრეფა, ქარხანაში მიზიდვა და აწონვა;

11. ბამბუკის სამუშაო:

ა) სამბამბუკო მიწის დათოხვნა;

ბ) ბამბუკის დარგვა, მოვრა და გადაზიდვა.

12. ტყის სამუშაო:

ა) სხვადასხვა ჯიშის ხის თესლის მოგროვება;

ბ) გაკაფული ადგილებისა და ტყის კულტურისათვის, დათესისათვის და დარგვისათვის დანიშნული ადგილების ნიადაგის გადაბრუნება და განმზადება;

გ) სანერგე კორკისა და თესლის დათესვა და ნერგის ჩაყრა და ნარგავის მოვლა;

დ) დასარგავი მასალის აღმოსაცენებლად ხეების სანერგეების მოწყობა, სარეველის გამარგვლა და ნიადაგის გაფხვიერება;

ე) ტანაყრილ ხეების გამოსუფთავება და შეთხელება.

13. აბრეშუმის სამუშაო:

ა) თუთის ხის გაშენება და მოვლა;

ბ) აბრეშუმის ჭიის თესლის დამზადება და მოვლა, აბრეშუმის ჭიის მოვლა და ყურისგდება ზრდის დროს, პეპელების გადარჩევა, თესლის (აბრეშუმის ჭიის თესლის) მოგროვება და დამზადება; ყურისგდება პარკად გადაქცევის დროს; პარკის გარჩევა, გაშრობა და დახარისხება;

გ) პარკის გამოხარშვა, გარეცხვა და გაშრობა, ჩაწყობა და ჩაფუთვა გასაგზავნად.

14. მაენებლებთან და სენთან ბრძოლის სამუშაო:

ა) შაბიამანის შესხურება, გოგირდის და სხვა ფხვნილის შეფრქვევა, შებოლვა და მაენებელთა შეგროვება;

ბ) სხვა სამუშაო მაენებლებთან და სენთან ბრძოლისათვის.

შენიშვნა 1. იმ ადგილას და რაიონში, სადაც ამა ნუსხაში აღნიშნული სამუშაო 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სწარმოებს, ამ სამუშაოზე მომუშავე პირებზე სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სასეზონო სამუშაოთა შრომის პირობების შესახებ“ 1926 წ. ივნისის 4-ს თარიღით გამოცემული დადგენილება არ გავრცელდება.

შენიშვნა 2. სასეზონო სამუშაოთა ეს ნუსხა გავრცელდება ყველა კატეგორიის მეურნეობაზე, იმ მეურნეობათა გამოკლებით, რომლებზედაც ვრცელდება სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სოფლის მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის შეფარდების დროებითი წესების შესახებ“ 1925 წ. აპრილის 18-ს თარიღით გამოცემული დადგენილება.

(„ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის კანონმდ. ვესტნიკი“-ს 1925 წ. მე-8—9 №-რი).

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

საერთო-საორგ. განყ. გამგე **მელნიკოვი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან: **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1491 №-ში 1927 წ. ივნისის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 23 აკსფსრ სახალხო კომისარიატ საგჯოსი

124. მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან მუშათა საბინაო მშენებლობისათვის გამოსაყოფი ნაწილის რაოდენობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ“ 1926 წ. აგვისტოს 5-ს თარიღით და 33 №-რით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-9 №-ი, მუხ. 710) დადგენილების მე-5 მუხ. „ა“ პუნ. თანახმად, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამიერკავკასიის სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა და საკრედიტო დაწესებულებათა, აგრეთვე ქვემოაღნიშნული კატეგორიის სააქციო საზოგადოებათა მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან მუშათა საბინაო მშენებლობისათვის გამოსაყოფი ნაწილი განსაზღვრულ იქნეს 80 პროცენტის რაოდენობით, ხსენებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საზოგადოებათა 1926 წ. ოქტომბრის 1-თვის შედგენილი ბალანსების მიხედვით. ზემოაღნიშნულ სააქციო საზოგადოებათა კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი სააქციო საზოგადოება, რომლის აქციების (პაიების) უმეტესობა ფაქტიურად სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს ეკუთვნის, ან რომლის დამფუძნებელნიც მარტოოდენ ისეთი სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი არიან, რომელთა ძირითად მიზნს, მათი წესდების მიხედვით, არ შეადგენს სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაცია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წლის მაისის 25. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1492 №-ში 1927 წ. ივნისის 3-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება გზათა სახალხო კომისრის რწმუნებულისა აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და საქართველოს სსრ-სა, აზერბაიჯანის სსრ-სა და სომხეთის სსრ-ს იუსტიციის სახალხო კომისრებისა

1927 წლის ივნისის 1.

125. ამიერკავკასიის რკინის გზების წინაალმდეგ აღძრულ, გადაზიდვის ხელშეკრულობიდან გამომდინარე სარჩელთა ქ. ტფილისისა, ბაქოს და ერივანის სასამართლო დაწესებულებებისათვის დაქვემდებარების შესახებ.

რკინის გზათა წესდების 106 მუხლის თანახმად, გზათა სახალხო კომისრის რწმუნებული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და საქართველოს სსრ-სა, აზერბაიჯანის სსრ-სა და სომხეთის სსრ-ს იუსტიციის სახალხო კომისრები ადგენენ.

1. დაწესებულ იქნეს, რომ ამიერკავკასიის გზების წინააღმდეგ აღძრული, გადაზიდვის ხელშეკრულობიდან გამომდინარე სარჩელი, გარდა ქალ. ტფილისის სასამართლო დაწესებულებებისა, სადაც ამიერკავკასიის რკინის გზების გამგეობა იმყოფება (რკ. გზ. წესდების 97 მუხ.), ექვემდებარება აგრეთვე ქალ. ბაქოს და ერივანის სასამართლო დაწესებულებათა.

2. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1927 წლის ივნისის 15-დან.

3. ის სარჩელი ამიერკავკასიის რკინის გზების წინააღმდეგ, რაც უკვე წარმოებაშია და აღძრულ იქნა 1927 წ. ივნისის 15-მდე ქალ. ტფილისის სასამართლო დაწესებულებაში, გადაწყვეტილ უნდა იქნეს ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე არსებული ქვემდებარეობის წესისამებრ.

გზათა სახალხო კომისრის რწმუნებული
ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან **შ. ელიავა.**

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო
კომისრის მოადგილე **ტალახაძე.**

აზერბაიჯანის სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი **ველიბეკოვი.**

სომხეთის სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი **აშრაფიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1492 №-ში 1927 წ. ივნისას 3-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია № 2 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. მაისის 14.

126. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანისა და განხილვის წესის შესახებ.

1. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების შესახებ“ 1922 წ. ნოემბრის 27-ს თარიღითა და 22 №-რით გამოცემული (შრომის მომქმ. კანონმდ. 1926 წ., გვ. 717) დადგენილების 25 მუხ. თანახმად, ზედამხედველობა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების გადაწყვეტილებათა კანონიერებისათვის ეკუთვნის ა/კ-სფერ შედგენილობაში შემავალი რეს-პუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს.

2. შრომის სახალხო კომისარიატის ორგანო შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებას განიხილავს ზედამხედველობის წესით: ა) თავისი ინიციატივით; ბ) დაინტერესებულ მხარეთა ან პირთა საჩივრით; გ) საპროკურორო ზედამხედველობის პროტესტით.

3. უკეთუ საჭირო იქნება, შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოს შეუძლიან მოსთხოოს ადმინისტრაციას და პროფესიონალურ კავშირთა ადგილობრივ ორგანოს ახსნა-განმარტება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის განსაჩივრებული გადაწყვეტილების გამო.

4. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანის ვადა განისაზღვრება 3 თვით გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

შენიშვნა. პროკურატურის ორგანო შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებაზე პროტესტის შეტანისათვის და შრომის სახალხო კომისარიატის ორგანო შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესისამებრ, თავისი ინიციატივით, განხილვისათვის შეზღუდულ არ არიან ამა მუხლში აღნიშნული ვადით.

5. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით გაუქმების საფუძვლად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონის პირდაპირი დარღვევა და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისათვის დადგენილი საპროცესო წესების შეუსრულებლობა, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა გადაწყვეტილების კანონიერებაზე, კერძოდ:

ა) შრომის მომქმედი კანონმდებლობისა თუ კოლექტიური ხელშეკრულობის დარღვევა ან არა-სისწორით შეფარდება;

ბ) აშკარა წინააღმდეგობა გადაწყვეტილებასა და საქმეში ქონებულ წერილობით დოკუმენტ შორის;

გ) შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის არასწორი კონსტრუქცია (მაგალითად, როდესაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში წევრებად შედიან ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანოების წარმომადგენლნი, რომელნიც ა/კ. შრ. სახ. კ—ტის 1922 წ. ნოემბრის 27-ს თარიღისა და 22 №-რის დადგენილების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ არ არიან);

დ) საკითხის ხმის მიცემით გადაწყვეტა (ხმის უმეტესობით) და არა მხარეთა შეთანხმებით;

ე) ისეთი საქმისა ან საკითხის განსახილველად მიღება, რაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის კომპეტენციას არ შეადგენს;

ვ) კონფლიქტის განხილვა დაინტერესებულ პირთათვის შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის სხდომის დღისა და საათის შეუტყობინებლად, აგრეთვე დაუმაყოფილებლობა დაინტერესებული პირის შუამდგომლობისა საქმის გადადების შესახებ, როდესაც მას არ შეეძლო სპატიო მიზეზის გამო სხდომაზე გამოცხადებულიყო (ავადმყოფობა, წარვლინება და სხვ.);

ზ) ისეთი საქმის განხილვა, რაც სასამართლო დაწესებულებისა ან სხვა საკონფლიქტო ორგანოს განხილვად არის ან მათ მიერ უკვე განხილულია.

6. განიხილავს-რა ზედამხედველობის წესით შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებას, შრომის სახალხო კომისარიატის ორგანო გამოიტანს სათანადო დასაბუთებულ დადგენილებას ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა ან გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ. ეს დადგენილება ეცნობება მომჩივანს და მხარეთ.

7. უკეთუ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანო გააუქმებს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებას, თვითეულ მხარეს ან დაინტერესებულ პირს შეუძლიან მომართოს საკითხის გადასაწყვეტად, თავისი სურვილისამებრ, როგორც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას, ისე შრომის საქმეთა სესსიას (ვინიცობაა საქმე მას ექვემდებარება).

8. შრომის ადგილობრივი ორგანოს დადგენილება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარისთქმისა ან გაუქმების შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ერთი თვის ვადაზე აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების სათანადო შრომის სახალხო კომისარიატში; ამასთანავე, საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის იმ ორგანოში, რომლის დადგენილებაც განისაჩივრება. ეს ორგანო მოვალეა სამი დღის ვადაზე წარგზავნოს საჩივარი დანიშნულებისამებრ ყველა მასალითა და თავისი დასკვნით.

9. შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანო, რომელიც საჩივარსა ჰგზავნის, მოვალეა თვალყური ადევნოს, რათა ყველა დოკუმენტს, რაც საქმეშია, სათანადო ხელმონაწერი და ბეჭედი ჰქონდეს, ხოლო ყველა ასლი შემოწმებულ იქნეს.

10. სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარის თქმისა ან გაუქმების შესახებ საბოლოა და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატში არ განისაჩივრება.

11. ინსტრუქცია ესე არ გავრცელდება ამიერკავკასიის სარკინისგზო ტრანსპორტზე, სადაც მოქმედობს განსაკუთრებული ინსტრუქცია შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობის წესის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

ზედამხედველობის ბიუროს გამგე **აბაშიძე.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან: **იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1493 №-ში 1927 წ. ივნისის 4-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

127. მუშათა ბინების მშენებლობის საჭიროებისათვის მიზნობრივი საბინაო გადასახადის დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 წ. აგვისტოს 9-ს დებულებას (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) დაემატოს 40-[1]—40-[4] მუხლები შემდეგი რედაქციისა:

„40-[1]. 27 მუხლში აღნიშნული გადასახადების გარდა, ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ დააწესონ ქალაქად მიზნობრივი საბინაო გადასახადი მუშათა ბინების მშენებლობის საჭიროებისათვის".

„40-[2]. მიზნობრივი საბინაო გადასახადი გადაიხდება ყველა ფიზიკურ პირს მის მიერ ქალაქად დაპერილი საცხოვრებელი სივრცის რაოდენობის მიხედვით, უკეთუ ეს პირი სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადს ამ გადასახადის მე-3 №-რის განაწერის განაკვეთით იხდის (სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის 1926 წ. სექტემბრის 24-ს დებულების მე-4 მუხლის „გ" პუნქტი. (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 64 №-რი, მუხ. 484)".

40-[3]. მიზნობრივი საბინაო გადასახადის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამასთანავე დართულ განაწერში აღნიშნულ უკიდურეს განაკვეთებს.

(დანართი ა/კსფსრ ადგილ. ფინანს. დებულების 40-[1]—40-[4] მუხლებისა).

40-[4]. მიზნობრივი საბინაო გადასახადით შემოსული თანხები მიიქცევა მუშათა საბინაო მშენებლობის ადგილობრივ ფონდში".

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს ნება აქვთ დააწესონ მიზნობრივი საბინაო გადასახადით შემოსული თანხებიდან მუშათა საბინაო მშენებლობის რესპუბლიკანურ ფონდში გადასაცემი ანარიცხი არა უმეტეს 20%-სა.

II. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1926 წ. ოქტომბრის 1-დან.

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. მაისის 23. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1493 №-ში 1927 წ. ივნისის 4-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი ა/კსფსრ ადგ. ფინ. დებულების 40-[1]—40-[4] მუხლებისა.

გ ა ნ ა წ ე რ ი

მუშათა მშენებლობის საკირეოებისათვის დაწესებული მიზნობრივი საბინაო გადასახადის უკიდურესი თვიური განკვეთებისა.

კატეგორია		წლიური შემოსავლის თანხა.		თვიური განაკვეთის უკიდურესი რაოდენობა კვადრატულ მეტრზე.	
1.		1.000	მ.-დე ამიანად	5	კაპ.
2.	1.000 მ. მეტი	1.200	„ „	7	„
3.	1.200 „ „	1.800	„ „	10	„
4.	1.800 „ „	2.400	„ „	15	„
5.	2.000 „ „	3.000	„ „	20	„
6.	3.000 „ „	4.000	„ „	30	„
7.	4.000 „ „	5.000	„ „	40	„
8.	5.000 „ „	6.000	„ „	50	„
9.	6.000 „ „	7.000	„ „	60	„
10.	7.000 „ „	8.000	„ „	70	„
11.	8.000 „ „	10.000	„ „	80	„
12.	10.000 „ „	12.000	„ „	1 მან.	
13.	12.000 „ „	14.000	„ „	1 „ 20	„
14.	14.000 „ „	16.000	„ „	1 „ 40	„
15.	16.000 „ „	20.000	„ „	1 „ 70	„
16.	20.000 „ „	24.000	„ „	2 „ —	„
17.	24.000 „ „			2 „ 50	„

დადგენილება № 41 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ივნისის 3.

128. ამიერკავკასიის რკინის გზებზე მომხდარი კატასტროფებისა და შემთხვევების გამო აღძრულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა განსაჩივრებისათვის ვადის დაწესების შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „ა/კ. რკ. გზებზე მომხდარი კატასტროფებსა და შემთხვევების გამო აღძრულ საქმეთა განხილვის წესის შესახებ“ 1927 წ. მარტის 3-ს თარიღითა და 20 №-რით გამოცემული დადგენილების („ა/კსფსრ შრ. სახ. კ-ტის შრომის კანონმდ. ვესტნიკ“-ი, 1927 წ. გამოც., № 3—4, მუხ. 6) მე-4 და 5 მუხ. დასამატებლად ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ა/კ. რკინის გზებზე მომხდარი შემთხვევებისათვის ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საგზაო კომისიისა და რკინის გზების აგენტებისათვის გადასახდელთა დადების თაობაზე აღძრულ საქმეთა განმხილველი პარიტეტული კომისიის იმ გადაწყვეტილებათა განსაჩივრებისათვის, რაც გათვალისწინებულია ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. მარტის 3-ს თარიღისა და მე-20 №-რის დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლით, დაწესებულ იქნეს ერთი თვის ვადა დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა, როგორც რკ. გზ. იმ აგენტებისათვის, რომელნიც უკმაყოფილონი იქნებიან მათზე დადებული გადასახდელით, ისე საგზაო კომისიის იმ წევრებისათვის, რომელნიც გადაწყვეტილების გამოტანის დროს უმცირესობას შეადგენენ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის საერთო-
საორგ. განყოფ. გამგე **მელნიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1494 №-ში 1927 წ. ივნისის 5-ს.

დადგენილება № 3 ა/კსფსრ ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა

(სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველო)

1927 წ. ივნისის 6.

129. პაპიროსის უკიდურესი ფასების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნქტისა და საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ა/წ. მაისის 7-ს დადგენილების თანახმად, ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს 1926 წ. აპრილის 8-ს თარიღისა და 16/72 №-რის დადგენილებისა და 1927 წ. მარტის 8-ს თარიღისა და 9/124 №-რის დადგენილების გასაუქმებლად,—ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე პაპიროსის შემდეგი უკიდურესი საეტიკეტო ფასები, მომქმედი სააქციზო განაკვეთების ჩათვლით:

1-ლი	ხარისხის	„ა"	ჩაფუთვით	100	ცალი	1 მან. და 00	კაპ.
1-ლი	„	„ა"	„	25	„	27	„
1-ლი	„	„ა"	„	10	„	11	„
1-ლი	„	„ბ"	„	100	„	82	„
1-ლი	„	„ბ"	„	25	„	21	„
1-ლი	„	„ბ"	„	10	„	9	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-II	ხარისხის	„ა“	ჩაფუთვით	100	ცალი	54	კაპ.
„ II	„	„ა“	„	25	„	14	„
„ II	„	„ა“	„	20	„	11	„
„ II	„	„ა“	„	10	„	6	„
„ II	„	„ბ“	„	100	„	43	„
„ II	„	„ბ“	„	25	„	11	„
„ II	„	„ბ“	„	20	„	9	„
„ II	„	„ბ“	„	10	„	5	„
„ III	„		„	100	„	31	„
„ III	„		„	25	„	8	„
„ III	„		„	10	„	4	„

შენიშვნა. ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე ფაბრიკებიდან და მრეწველობის საბაზისო საწყობებიდან ბაზარზე გამოშვებული პაპიროსის მარაგის რეალიზაციისათვის ნებადართულია. სამი კვირის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან, აღნიშნული პაპიროსის იმ ფასად გაყიდვა, რაც დაწესებულია ა/კ. შინა-ეკონომიის სახალხო კომისარიატის 1926 წ. აპრილის 8-ს თარიღისა და 16/72 №-რის დადგენილებით; ზემოხსენებული ვადის გასვლისას დანარმილი ხარისხების პაპიროსი ა/კსფსრ ბაზრებზე უნდა გაიყიდოს მარტოოდენ ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებულ ფასებში.

2. პაპიროსის რეალიზაციის დროს ა/კსფსრ ფარგლებში, ხოლო იმ რესპუბლიკის ფარგლების გარეშე, სადაც ეს პაპიროსია დამზადებული, ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებულ ფასებს დაერთვის წანამატი 1 კაპიკის რაოდენობით თითო კოლოფზე.

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული უკიდურესი საეტიკეტო ფასები უმაღლესი ხარისხის პაპიროსზე არ გავრცელდება.

4. მე-II ხარისხის „ბ“ და „ა“ პაპიროსი, აგრეთვე მე-III ხარისხის პაპიროსი გამოშვება მხოლოდ რბილ საფუთავში (პაჩკა).

5. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული პაპიროსის გასაყიდად გამოშვება ნებადართულია მხოლოდ 100 ცალიან საფუთავში, 25-ცალიან საფუთავში და 10-ცალიან საფუთავში.

შენიშვნა. ძველი ეტიკეტების მარაგის გამოყენებისათვის მე-II ხარისხის „ა“ და „ბ“ პაპიროსის 20-ცალიან საფუთავში გასაყიდად გამოშვება ნებადართულია მხოლოდ 1927 წ. ოქტომბრის 1-მდე; ამ ვადის შემდეგ აღნიშნული პაპიროსის ბაზარზე გამოშვება სრულიად აიკრძალოს.

6. დანარმილი ხარისხების პაპიროსის თვითეულ სათავსზე (პაჩკა, კოლოფი) აღნიშნული უნდა იყოს: ა) ფაბრიკისა ან სახელოსნოს სახელწოდება, ბ) ადგილი, სადაც ფაბრიკა ან სახელოსნოა), გ) პაპიროსის სახელწოდება (მარკა და ნომერი), დ) თამბაქოს წონა ათას ცალზე, ე) პაპიროსის რაოდენობა სათავსში, ვ) პაპიროსის ხარისხი, ზ) საეტიკეტო ფასი და წარწერა: „ეტიკეტზე აღნიშნულ ფასზე ძვირად გაყიდვა დაისჯება კანონით“.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

7. დაწესებულ იქნეს საეტიკეტო ფასის შემდეგი უკიდურესი მონაკლები პაპიროსის ბითუმად და ნახევარ-ბითუმად (პარტია—არა ნაკლებ 2 უუთისა—40.000 ცალი) ვაჭრობისათვის:

ა) როდესაც საქონელი ბითუმად მოვაჭრე და, ბითუმად ვაჭრობასთან ერთად, ნახევარ-ბათუმად და ცალობით მოვაჭრე სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიულ ორგანიზაციას მიეცემა—არა ნაკლებ 13,5 პროცენტისა საეტიკეტო ფასზე ფრანკო-დანიშნულების სადგური ან ნავსაყუდი, უკეთუ უშუალოდ ფაბრიკაში და ფაბრიკის საწყობში დაიტვირთება, და ფრანკო-გამყიდველის საწყობი, უკეთუ სხვა დანარჩენ საწყობებიდან გაიცემა; ამასთანავე მყიდველს აუცილებელი უფლება აქვს საქონელი უშუალოდ ფაბრიკიდან და ფაბრიკის საწყობიდან მიიღოს.

შენიშვნა. როდესაც პაპიროსი კოოპერატიულ კავშირს და საოლქო და რესპუბლიკანური მასშტაბის ცენტრს მიეცემა, ამა დადგენილების მე-7 მუხლის ლიტ. „ა“ დადგენილი მონაკლების გარდა, შეეფარდება აგრეთვე დამატებითი მონაკლები საეტიკეტო ფასის 0,5 პროცენტის რაოდენობით.

ბ) როდესაც პაპიროსი მარტოოდენ ცალობით მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას მიეცემა—არა ნაკლებ 10 პროცენტისა საეტიკეტო ფასზე ფრანკო-გამყიდველის საწყობი;

გ) უკეთუ მყიდველი იკისრებს გადიხადოს პროცენტი კრედიტისათვის საბანკო განაღდების პროცენტის რაოდენობით, საეტიკეტო ფასის მონაკლები, ხელშეკრულობით განსაზღვრული ბონუსებისა და საკომისიოს ჩათვლით, არ უნდა აღემატოს 16 პროცენტს ფრანკო-დანიშნულების სადგური ან ნავსაყუდი.

8. დადგენილება ესე გავრცელდება აგრეთვე წინად დადებული ხელშეკრულობისა და გარიგების იმ ნაწილზე, რომლითაც ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე საქონელი ჩაბარებული არ არის.

9. დადგენილება ესე გავრცელდება სახელმწიფო ვაჭრობაზე, კოოპერაციაზე და კერძო პირებზე.

10. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწოროით შესრულებას.

11. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

12. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალო კომისარი **ბეკზადიანი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1496 №-ში 1927 წ. ივნისის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1927 წ. ივნისის 2. № 4.

130. ამიერკავკასიის რკინის გზებით შეშის გადაზიდვისათვის წამახალისებელი პრემიალური სასეზონო ტარიფის დაწესების შესახებ, რათა შეშის დამმზადებლებმა რაც შეიძლება მეტის სისავსით გამოიყენონ მომდინარე წლის საზაფხულო პერიოდში ა/კ. რკინის გზების მუშაობა.

1. ა/კ. რკ. გზებით ზაფხულის პერიოდში შეშის გადაზიდვის წასახალისებლად, რათა შეშის დამმზადებლებმა რაც შეიძლება მეტის სისავსით გამოიყენონ რკინის გზების მუშაობა 1927 წლის საზაფხულო პერიოდში, ამა დადგენილებით ა/კ. რკინის გზების ადგილობრივ მიმისვლაში დაწესდება წამახალისებელი პრემიალური სასეზონო ტარიფი შეშის გადაზიდვისათვის (ტარიფთა კრებ. მე-II ნაწ. 31 ჯგუფი მთლად) იმ ტარიფის 20 (ოცი) პროცენტის მონაკლებით, რაც ფაქტიურად შეფარდებულ უნდა იქნეს ამა თუ იმ გამგზავნელისათვის (აგრეთვე, სათანადო შემთხვევაში, სამხედრო ტარიფისა და მე-100 №-რის საშელავათო ტარიფისა).

2. ტარიფი ესე გავრცელდება ყველა გადაზიდვაზე, ჩვეულებრივი საგადასაზიდო ნორმებ ზევით, რასაც დაადგენს ხოლმე გადაზიდვის მომწესრიგებელი ა/კ. ადგილობრივი კომიტეტი.

3. დამატებითი გამოსაღები ამა ტარიფით გადახდეკინებულ უნდა იქნეს უცვლელად საერთო წესისამებრ და დაწესებული რაოდენობით.

4. ტარიფის ესე გავრცელება შეშის დამმზადებლებზე, რომლებთაც იგულისხმებიან გამგზავნელნი, იმისდა მიუხედავად, თითონ ეს გამგზავნელნი ამზადებენ შეშას, თუ მარტო ფაქტიური მეპატრონენი არიან სხვა ორგანიზაციების მიერ დამზადებული შეშისა.

5. შეშის დამმზადებლებად, რომელთაც უფლება აქვთ გამოიყენონ ეს ტარიფი, ითვლებიან: საქართველოს ტყის სამრეწველო ტრესტი, სომხეთის ტყის ტრესტი, აზერბაიჯანის ტყის ტრესტი, სამხედრო უწყება და ყველა კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც რეგულიარულად წარადგენს ზიდვის მომწესრიგებელ ა/კ. ადგილობრივ კომიტეტში განცხადებას შეშის გადაზიდვის შესახებ.

6. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ საგადასაზიდო ნორმებს ყოველი ზემოდასახელებული შეშის დამმზადებლისათვის დაადგენს გადაზიდვის მომწესრიგებელი ა/კ. ადგილობრივი კომიტეტი თვითეული თვისათვის ცალკე, მის მიერ უკვე წარდგენილი განცხადებისა და წარსული წლის შედარებითი ნორმების საფუძველზე; ამასთანავე კომიტეტი ამ ნორმებს აცნობებს ა/კ. რკ. საშემოსავლო განყოფილებას გამგზავნელთან ანგარიშის გასასწორებლად.

7. ამა ტარიფით სატარიფო პრემიის მისაღებად შეშის დამმზადებელ-გამგზავნელი, რომელიც მოთავსებულ იქნება ა/კ. ადგ. კომ-ტის ზემოაღნიშნულ განსაკუთრებულ თვიურ სიაში, წარადგენს ა/კ. რკ. გზ. საშემოსავლო განყოფილებაში განცხადებას, რასაც დაურთავს მის მიერ საანგარიშო თვის გამგზავლობაში შესრულებული შეშის გადაზიდვის ყველა სატვირთო ბარათს.

8. სატარიფო პრემიის მიღების საფუძვლად შეიძლება იყოს მარტოოდენ სატვირთო ბარათი, რომელშიაც გამგზავნელად აღნიშნულ უნდა იქნეს მე-5 მუხ. ჩამოთვლილი დაწესებულებები და ორგანიზაციები.

9. ტარიფი ესე დაწესდება ვადით მიმდინარე წლის სექტემბრის 1-დე და სამოქმედოდ შემოიღება შვიდი დღის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყ. სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-მიქაელიანი.**

საუწყ. სატარ. თათბ. საქმეთა მმართველის

მაგიერ უფრ. ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1498 №-ში 1927 წ. ივნისის 10-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მე-2 სესსიისა

131. ამხ. შალვა ზურაბის ძე ელიავას ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ და ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარედ და ამხ. სარქის ლუკიანის ძე ლუკაშინის ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1927 წ. ივნისის 6-ს დადგენილება,—რითაც დაკმაყოფილებულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. მამია დიმიტრის ძე ორახელაშვილის თხოვნა ზემოაღნიშნული თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ, რადგანაც იგი გადავიდა პარტიის ძირითად სამუშაოზე და ეს გარემოება საძნელოდ ჰხდის პარტიაში მუშაობისა და ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის შეთავსებას,—და იგი განთავისუფლებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

II. დამტკიცებულ იქნეს ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1927 წ ივნისის 6-ს დადგენილება,—რითაც დაკმაყოფილებულია ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის ამხ. ამაიაკ მარკოსის-ძე ნაზარეთიანის თხოვნა ზემოაღნიშნული თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ, რადგანაც იგი გადავიდა პარტიის ძირითად სამუშაოზე და ეს გარემოება საძნელოდ ჰხდის პარტიაში მუშაობისა და ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის შეთავსებას;—და იგი განთავისუფლებულ იქნეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან.

III. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ამხ. შალვა ზურაბის-ძე ელიავა.

IV. რადგანაც ამხ. შალვა ზურაბის-ძე ელიავა არჩეულ იქნა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარედ, ამის გამო განთავისუფლებულ იქნეს იგი სსრკ გზათა სახალხო კომისრის რწმუნებულის (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) მოვალეობისა და სსრკ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის რწმუნებულის (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) მოვალეობის აღსრულებისაგან.

V. ა/კსფრს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად არჩეულ იქნეს ამხ. სარქის ლუკიანის-სე ლუკაშინი, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დატოვებით.

VI. თანახმად ამერკავკასიის მე-VI მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლი სესსიის დადგენილებისა, რომლითაც, ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის გაფართოების გამო, დაარსებულია ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ორი თანამდებობა, მდივნის თანამდებობაზე არჩეულ იქნეს ამხ. იბრაჰიმ თაღიევი.

VII. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. შალვა ზურაბის-ძე ელიავას არჩევის გამო, იგი ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის შედგენილობიდან გამოსულად ჩაითვალოს.

VIII. ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის შედგენილობაში, მისი წევრის სახით, შევიდეს ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის კანდიდატი ამხ. გიორგი დავითის-ძე ყურულოვი.

ა/კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1500 №-ში 1927 წ. ივნისის 12-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ.რკ.გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1927 წ. ივნისის 2 №-4.

132. **ქალ. ლენინაკანის აღმდგენი კომისიის ადრესით გაგზავნილი საშენი მასალის გადაზიდვაზე ადგილობრივი მიმოსვლის 34 №-რის საშელავათო სატვირთო ტარიფის გავრცელების შესახებ.**

მუშათა ბინების მშენებლობისა და რემონტისათვის საჭირო საშენი მასალის საგადასახიდო 34 №-რის საშელავათო სატვირთო ტარიფი, რომელიც ტარიფთა კრებულის 390 №-შია გამოქვეყნებული, ამა დადგენილებით გავრცელდება აგრეთვე ამ ტარიფში აღნიშნული საშენი მასალის გადაზიდვაზე, რაც ადგილობრივი მიმოსვლით გაგზავნილ იქნება ა/კ. რკ. გზ. ყველა სადგურიდან, ა/კ. რკ. გზ. საპორტო და სასაზღვრო სადგურების გამოკლებით, ლენინაკანის სადგურამდე ქალ. ლენინაკანის აღმდგენი კომისიის ადრესით.

ტარიფი ესე დაწესდება იმ ვადით, ვიდრე ქალ. ლენინაკანის აღმდეგნი კომისია დაიშლებოდეს, შემოიღება შვიდი დღის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან და შეფარდებულ იქნება, უკეთუ, თვითეული ცალკე შემოხვევაში, დანიშნულების სადგურზე (ლენინაკანი) წარიდგინება ქალ. ლენინაკანის აღმდგენი კომისიის იმის დამამტკიცებელი მოწმობა, რომ ეს ტვირთი ამ კომისიას ეკუთვნის.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-მიქაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქთა მმართველის თან. აღმასრულ. უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1501 №-ში 1927 წ. ივნისის 14-ს.

საქართ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1971. ტირაჟი 800.